ბრძანება:**ბ20. 202320816**

თარიღი:**27/07/2023**

„გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების და ამომრჩეველთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 იანვრის N ბ20.20230063 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების 2023 წლის 27 ივლისის N01-202320883 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების და ამომრჩეველთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 იანვრის N ბ20.20230063 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

ბ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ ყოველდღე, 09 საათიდან 18^{00} საათამდე, 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.“.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი